ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3420193

ნომერი: AR1525581

თარიღი : 23.07.2017

გაცემის თარიღი : 07.08.2017

გაცნობის თარიღი : 07.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ ეფრემიძე პ/ნ 01008050596
- თბილისი ქობულეთის ქ. N 3/15 ბ. 97

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 ივნისის №740841 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017

წლის 23 ივლისის # AR1525581 განცხადებით მომართა მარიამ ეფრემიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 ივნისის №740841 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2013 წლის 14 ივნისის №740841 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, მოქ. ლუდმილა კიკნაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 01.72.14.007.047), ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 14 ივნისიდან 2015 წლის 14 ივნისის ჩათვლით.
ვინაიდან მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 14 ივნისის ჩათვლით, სამსახურის 2013 წლის 14 ივნისის №740841 ბრძანება, ვადის გასვლის გამო, ნებართვის გაცემის ნაწილში, ძალადაკარგულია.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: #882016860027, მომზადების თარიღი: 14/12/2016 11:08:42) თანახმად, ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, (საკ. კოდი: #01.72.14.007.047) მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „RAPOL“ (404993389). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხ. რეგისტრაცია - B16159392, მომზადების თარიღი: 24/11/2016 17:20:21) შპს „RAPOL“-ის დირექტორია ფედრამ ქიან ფარსა (1379307481) ირანი. სამსახურიში წარმოდგენილია ფედრამ ქიან ფარსას მიერ განმცხადებლის, მარიამ ეფრემიძის სახელზე გაცემული მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: #170821493, თარიღი: 20.07.2017წ). ასევე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი ფოტომასალა.
განმცხადებლის განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვს 2013 წლის 14 ივნისის №740841 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას.
"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს მარიამ ეფრემიძის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე მარიამ ეფრემიძის 2017 წლის 23 ივლისის # AR1525581 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 ივნისის №740841 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.